

**ანოტაცია**  
**ნანული ჩუტკერაშვილი**  
**N-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-**  
**გლუკოპირანოზილამინის კონდენსაციის რეაქცია გლიცილგლიცინის**  
**ეთილესტერის ჰიდროქლორიდთან**  
**ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**ი.ჭავჭავაძის გამზ.3**

ნახშირწყლების ქიმიის თანამედროვე კვლევები მზარდ გამოყენებას პოულობს ახალი მედიკამენტებისა და დიაგნოსტიკური მეთოდების შექმნისათვის. ნახშირწყლების ფრაგმენტების შეყვანა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მოლეკულებში იწვევს მათი ფიზიოლოგიური მოქმედების მიმართულების შეცვლას, კერძოდ, უჯრედში მიზანმიმართული ტრანსპორტირებისა და შეღწევადობის ოპტიმიზაციას, წყალში ხსნადობის გაზრდას, ტოქსიკურობის შემცირებას, მოქმედების ვადის გახანგრძლივებას. ამგვარი სტრუქტურული ცვლილებები იწვევს პრეპარატების მოქმედების უნარის კომპლექსურ ცვლილებას, ზოგ შემთხვევაში გაუმჯობესებასაც კი. ნახშირწყლების სხვადასხვა მოდიფიცირებული წარმოებულები და მათი ბიოლოგიური მოქმედების სპექტრის შესწავლა ნახშირწყლების ქიმიის აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს.

ჩვენისამუშაოს მიზანს წარმოადგენდა N-(4-კარბოქსიფენილ)-β-D-გლუკოპირანოზილ-ამინის წარმოებულების სინთეზი.

N-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილამინის სინთეზი განხორციელებულ იქნა D-გლუკოზის 4-ამინობენზოის მჟავასთან კონდენსაციით 96%-იანი მეთანოლის არეში, კატალიზატორის ყინულოვანი ძმარმჟავას თანაობისას 80°C ტემპერატურაზე გაცხელებით და მიღებული N-გლიკოზილამინის შემდგომი აცეტილირებით. N-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილ-ამინის L-გლიცინის ეთილესტერის ჰიდროქლორიდთან კონდენსაციით N,N'-დიციკლო-ჰექსილკარბოდიმიდისა და ტრიეთილამინის თანაობისას 0°C ტემპერატურაზე, პირველად იქნა მიღებული N-[4-N'-(2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილ)]ამინობენზოილ-L-გლიცილგლიცინის ეთილესტერი.

სინთეზირებულ ნაერთთა აღნაგობა დადგენილ იქნა კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით.